



იურიდიული დახმარების საბჭო

N-100

5 თებერვალი, 2022 წელი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის N26 და 2015 წლის 3 აპრილის N19
გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის შესახებ**

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა :

1. ცვლილება შევიდეს „მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეებზე ანგარიშგების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის N26 გადაწყვეტილების დანართ N2-სა (მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა ანგარიშგების ფორმა სისხლის სამართლის საქმეებზე) და „მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოების საქმეებზე ანგარიშგების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ“ იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 3 აპრილის N19 გადაწყვეტილების დანართ N2-ში (მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა ანგარიშგების ფორმა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოების საქმეებზე) „მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრისა და იურიდიული სამართალწარმოების პროგრამის მართვის სამმართველოს უფროსი“ ჩანაცვლდეს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოთი, ხოლო ხელმძღვანელ პირებად განისაზღვრონ:

„ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების სამმართველოს იურისტი“;

„ფინანსური, შესყიდვების, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსი“.